With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

Europeanization as an Instrument for Democratization of Georgia (EIDM)

ბროშურა



With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

Europeanization as an Instrument for Democratization of Georgia (EIDM)

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

2023 წლის ჟან მონეს ზამთრის სკოლის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია: ჟან მონეს ზამთრის სკოლა „ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია: საქართველო და ევროკავშირი“ გაიმართა ევროკავშირის ერასმუს+ ჟან მონეს მოდულის „საქართველოს ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია“ (620916-EPP-1-2020-1-GE-EPPJ-MO-MODULE) ფარგლებში. იგი განკუთვნილი იყო ევროპის უნივერსიტეტის და საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის, აგრეთვე, საქართველოს სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლისთვის.

2023 წლის ზამთრის სკოლა: 2023 წლის ზამთრის სკოლის გახსნაზე მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ევროპის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სოფიო ხუნდაძემ, ევროკავშირისა და ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა თამარა წულეისკირმა, იმ პერიოდისთვის საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ და ამჟამად განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა და ჟან მონეს მოდულის აკადემიურმა კოორდინატორმა ლევან მახაშვილმა.

ზამთრის სკოლის მიმდინარეობას დაემთხვა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ მიმდინარე ომის წლისთავი და მასთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური ძვრები, აგრეთვე, ევროპული პერსპექტივის მოპოვების შემდეგ ევროკავშირის წევრობის გზაზე საქართველოს ადგილის სრულიად შეცვლილი მდგომარეობა. აღნიშნულმა მოვლენებმა და ახალმა დინამიკამ გავლენა იქონია ზამთრის სკოლის სესიებისა და დისკუსიების შინაარსზე. კერძოდ, სესიებზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოს ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია: ისტორია, მექანიზმები, ცნებები, ინსტიტუტები;
- ასოცირების ხელშეკრულება და საქართველო-ევროკავშირის სექტორული თანამშრომლობა;
- ევროკავშირის წევრობისთვის საქართველოს მიერ შევსებული კითხვარი;
- საქართველოს ევროპული პერსპექტივა;
- ევროკავშირის წევრობის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი - ევროპული საბჭოს მიერ მიღებული 12 რეკომენდაცია და მისი შესრულების პროცესი;
- ევროპული კომისიის მიერ 2023 წელს გამოქვეყნებული ანალიტიკური ანგარიში საქართველოს სექტორული ჰარმონიზაციის შესახებ;
- საქართველოს ევროპული საგარეო პოლიტიკა;
- რუსეთის ანტი-ევროპული პროპაგანდა;
- ევროინტეგრაცია და სტრატეგიული კომუნიკაცია;
- ევროპეიზაცია და რეგიონული თანამშრომლობა;
- ევროკავშირის მწვანე პოლიტიკა;
- უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე რუსული აგრესია და მისი გეოპოლიტიკური გავლენა და შედეგები;
- ევროკავშირის როლი რუსული აგრესიის შეჩერებაში.

თეორიული ცოდნის გარდა, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად სესიების განმავლობაში მონაწილეებს თავიანთი ცოდნა გაუზიარეს ევროპული ინტეგრაციის პროცესის მცოდნე გამორჩეულმა პირებმა:
- ზურა ხამაშურიძე, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი;
- ივანე ჩხიკვაძე, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ ევროინტეგრაციის პროგრამის ხელმძღვანელი;
- კახა გოგოლაშვილი, GFSIS-ის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი.

ზამთრის სკოლის დასრულების და ფინალური ტესტის ჩაბარების შემდეგ, მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

მოდულის აკადემიური გუნდი:
• მოდულის აკადემიური კოორდინატორი: პროფ. ლევან მახაშვილი, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი;
• მოდულის კოორდინატორი: პროფ. ემილ ავდალიანი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მაგისტრი.
• მოდულის კოორდინატორი: პროფ. გიორგი მჭედლიშვილი, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
• მოდულის კოორდინატორი: დოქ. გრიგოლ გეგელია, საქართველოს ბრიტანული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; დოქტორი პოლიტიკურ თეორიებში (EUI, ფლორენცია);
• აკადემიური გუნდის წევრი: პროფ. სიმონ (ამირან) თავართქილაძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.
• აკადემიური გუნდის წევრი: პროფ. გივი ბედიანაშვილი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი.
• აკადემიური გუნდის წევრი: თათია დოლიძე, ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურების უფროსი.
• აკადემიური გუნდის წევრი: ნინო აბზიანიძე, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის (CSS) მკვლევარი ევროკავშირის ჰორიზონტი2020-ის პროექტში მედიაში ევროპეიზაციის დისკურსებზე.
• აკადემიური გუნდის წევრი: გიორგი გობრონიძე, ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, უსაფრთხოების მკვლევარი.
• აკადემიური გუნდის წევრი: დიანა ხომერიკი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი.

2023 წლის ზამთრის სკოლის სურათები:

EUROPEAN UNIVERSITY

CERTIFICATE

EUROPEAN UNIVERSITY